



აქაკი წაკათლის  
სახალმწიფო უნივერსიტატი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა  
აღმოსავლური ფილოლოგია  
(Oriental Philology)

ქუთაისი  
2011

**სადოქტორო პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად):**  
აღმოსავლური ფილოლოგია  
Oriental Philology

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულად და ინგლისურად):**  
ფილოლოგიის დოქტორი  
Ph.D

**სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, სამეცნიერო ხარისხი) :**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ჩიქოვანი

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS კრედიტი (სასწავლო კომპონენტი 60 ECTS კრედიტი; კვლევის კომპონენტი 120 ECTS კრედიტი)**

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

**ა) პროგრამის მიზანი:**

საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული სამყარო, თურქეთი, ირანი) ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა უაღრესად აქტუალურს ხდის აღმოსავლური ფილოლოგიის მეცნიერულ შესწავლას, ისტორიულ ჭრილში ქართულ-აღმოსავლური ენობრივი და ლიტერატურული კონტაქტების ფაქტების გამოვლენასა და კვლევას. ანალოგიურ სამუშაოს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეზობელ ქვეყნებში (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვ.).

აღმოსავლურ ფილოლოგიას დიდი ტრადიცია აქვს ევროპასა და ამერიკაში. არაბული, თურქული და სპარსული ფილოლოგიის კვლევა ახალ დონეზე აიყვანს საქვეყნოდ ცნობილ ქართულ ორიენტალისტურ სკოლას, რომელშიც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტმა.

პროგრამის მიზანია მეცნიერისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგის მომზადება, რომელსაც დამოუკიდებელი კვლევისა და მეცნიერული დასკვნების გამოტანის უნარი ექნება. სადოქტორო პროგრამის “აღმოსავლური ფილოლოგია” კვლევისა და სამეცნიერო ინტერესთა სფერო საკმაოდ ვრცელია და მოიცავს აღმოსავლური ფილოლოგიის მრავალ ასპექტს, კერძოდ:

არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებსა და ლიტერატურებს, რომელიც ფოკუსირებულია ისეთი საკითხების შესწავლაზე, საიდანაც ირკვევა, თუ რა კულტურულ-ისტორიული კავშირები და განვითარების პერსპექტივები აქვს ახლო აღმოსავლეთის არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ არაოფიციალურ ენებსა და დიალექტებს, ჩრდილოეთ აფრიკისა (არაბული სამყარო) და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურებს. მათი შესწავლა ნათელ სურათს იძლევა ამ ენების მატარებელი ხალხების კულტურის, განათლების, რელიგიური მსოფლმხედველობის თანამედროვე ვითარებისა და ტენდენციების გასათვალისწინებლად, რაც ესოდენ საჭიროა ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეყნისათვის როგორც საქართველოა. ამის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამის კვლევისა და სამეცნიერო ინტერესთა სფერო საკმაოდ ვრცელია.

პროგრამის მიზანია, დოქტორანტმა შექმნას ორიგინალური სამეცნიერო შრომები პუბლიკაციებისა და სადოქტორო დისერტაციის სახით.

### **ბ) პროგრამის შედეგი:**

**ცოდნა და გაცნობიერება** – ფილოლოგიის დოქტორს აღმოსავლური (არაბული, თურქული და სპარსული) ფილოლოგიის სპეციალობით მოეთხოვება დარგის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული ფართო ფუნდამენტური, ზოგადი ლინგვისტიკის ან ლიტერატურის თეორიის (დოქტორის სამეცნიერო ინტერესების მიხედვით) ცალკეული სფეროების სიღრმისეული ცოდნა.

აღმოსავლური ფილოლოგიის პროგრამის დოქტორანტის სამეცნიერო ინტერესებიდან და კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე აღმოსავლურ (არაბულ / თურქულ / სპარსულ) ფილოლოგიაში დოქტორს აქვს:

- აღმოსავლური (არაბული, თურქული ან სპარსული) ენისა და დიალექტების ლინგვისტურ და ლექსიკოლოგიურ (სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ) კვლევის ასპექტების;
- ისტორიულ ასპექტში ქართულ-აღმოსავლური და სემიტურ-ირანულ-თურქული ენობრივი კონტაქტების;
- გრამატიკული წერილობითი ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის,
- წერილობითი ძეგლების ენის;

- პალეოგრაფია-ეპიგრაფიკის;
- ტექსტოლოგიის საკითხების;
- აღმოსავლური (არაბული / თურქული / სპარსული) ლიტერატურის;
- უძველესი დროიდან დღემდე ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების;
- არაბული, თურქული და სპარსული ლიტერატურის თანამედროვე მიმართულებებისა და ჟანრების.
- აღმოსავლური ლიტერატურული ძეგლების ქართულად და პირიქით თარგმნის ტრადიციის;
- აღმოსავლური პოეტიკისა და ვერსიფიკაციის სრულფასოვანი ცოდნა.

აღნიშნული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება ითვალისწინებს ინოვაციური მეთოდების გამოყენებით რეფერირებადი პუბლიკაციების მომზადებას შესაბამის დარგში.

აღმოსავლური (არაბული / თურქული / სპარსული) ფილოლოგიის დოქტორს გაცნობიერებული აქვს მიღებული ცოდნის გადაფასებისა და განახლების შესაძლებლობა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – დოქტორს შეუძლია ინოვაციური მეთოდებით აღმოსავლური ფილოლოგიის პრობლემური და აქტუალური საკითხების დასმა, სათანადოდ გადაჭრა და ანალიტიკური მეთოდებით ახალი კვლევითი მიდგომების შემუშავებას.

სამეცნიერო ინტერებისა და კვლევის სპეციფიკის მიხედვით აღმოსავლურ (არაბულ / თურქულ / სპარსულ) ფილოლოგიაში ახლებური ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების საფუძველზე აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურების კვლევა, ლინგვისტური კომპარატივისტიკის, ინტერფერენციის ფაქტებისა და წერილობითი ძეგლების გამოვლენა, პალეოგრაფიული, ტექსტოლოგიური კვლევა, ლიტერატურული პროცერსების, ჟანრების, ლიტერატურული ტიპოლოგიის, პოეტიკისა და ვერსიფიკაციის საკითხების ანალიზი და შეფასება, რაც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება.

შესაძლებელი იქნება კვლევით (დისერტაცია) მიღებული შედეგების სალექციო კურსებსა და შესაბამისი მიმართულებით შემდგომი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისათვის გამოყენება.

**დასკვნის უნარი** – დოქტორს აქვს:

აღმოსავლურ ფილოლოგიაში მიღებული ახალი და რთული იდეების, მაგ: სემიტურ / თურქულ / ინდო-ირანულ ენათა შიდაგენეალოგიური კლასიფიკაციის, დიალექტოლოგიის, ახლო აღმოსავლეთის ხალთა ენებისა და დიალექტების, შუა საუკუნეების აღმოსავლური საენათმეცნიერო კორპუსის, ლიტერატურული სიუჟეტების გენეზისის, მათი გეოგრაფიისა და მასშტაბების, ჟანრების, ლიტერატურული პროცესების, აღმოსავლური პოეტიკისა და ვერსიფიკაციის, ენობირივი და ლიტერატურული კონტაქტების გამოვლენის, კვლევისა და შეფასების საფუძველზე სამეცნიერო თეორიების და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და სათანადო დასკვნების გამოტანის, პრობლემის დასმისა და გადაჭრისათვის საჭირო და ეფექტური გზების შერჩევის უნარი.

**კომუნიკაციის უნარი** – დოქტორს აქვს დარგში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით იდეების, თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების წარმოჩენის; საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან შესაბამის აღმოსავლურ და ევროპულ ენაზე თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარი. მას შეუძლია ცოდნა და კვლევის შედეგები გადასცეს ფართო საზოგადოებას.

**სწავლის უნარი** – დოქტორს შეუძლია არჩეულ სპეციალობაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან ახალი იდეებისა და პროცესების განვითარება სწავლაში, საქმიანობასა და, ასევე კვლევის პროცესში. მას სწავლის და კვლევის პროცესში თეორიული ცოდნის გაღრმავებისა და დახვეწის, კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავების, აღმოსავლურ ფილოლოგიურ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი აქვს.

**ღირებულებები** – ფილოლოგიის დოქტორს აქვს ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევის და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავების უნარი; დოქტორს შეუძლია ახლო აღმოსავლეთის მრავალფეროვანი და იმავდროულად შინაგანი მთლიანობით გამორჩეული კულტურული ტრადიციის მიმართ ტოლერანტული

დამოკიდებულების გამოჩენა; განსხვავებული კულტურების მიმართების  
გათვალსიწინებით მრავალფეროვნების დაფასება, პატივისცემა და გამორჩევა  
აკადემიური პატიოსნებით.

<i>№</i>	<i>საგნის დასახელება</i>	<i>ცოდანა და გაცნობიერება</i>	<i>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება</i>	<i>დასკვნის უნარი</i>	<i>კომუნიკაციის უნარი</i>	<i>სწავლის უნარი</i>	<i>ღირებულებები</i>
<i>1</i>	დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები	+	+	+	+	+	+
<i>2</i>	ტიპოლოგიური ლინგვისტიკა	+	+	+	+	+	+
<i>3</i>	ლიტერატურის თეორია	+	+	+	+	+	+
<i>4</i>	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+
<i>5</i>	მეორე აღმოსავლური ენა (არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული, კლასიკური არამეული)	+	+	+		+	
<i>6</i>	სემინარი I, II	+	+	+	+	+	+
<i>7</i>	სპეცურსი საკვლევი თემატიკის სპეციალობაში I, II	+	+	+	+	+	+
<i>8</i>	პედაგოგიური პრაქტიკა	+	+	+	+	+	+
<i>9</i>	დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე სასწავლო კურსი ლინგვისტიკის / ლიტერატურათმცოდნეობის პროფილის სადოქტორო პროგრამიდან	+	+	+	+	+	+

### **გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:**

ფილოლოგიის დოქტორის დასაქმების სფეროა ორგანიზაციები ან გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ აღნიშნული დარგის სპეციალისტები. დოქტორებს შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებსა და მუზეუმებში, ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში, გამომცემლობებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

### **დ) სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

აღმოსავლური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ჩართვის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის დარგში.
2. რეფერატის წარმოდგენა სამეცნიერო აპარატურითა და სავარაუდო ხელმძღვანელის რეცენზიით.
3. სპეციალობაში წერილობითი გამოცდების ჩაბარება:  
აღმოსავლური ენა და ლიტერატურა (არაბული, თურქული, სპარსული)
4. უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონე



სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა (ცხრილის სახით):

№	საგნის დასახელება		საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით					
					I	II	III	IV	V	VI
<b>სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტი</b>										
1	დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები		სავალდებულო	5	5					
2	ტიპოლოგიური ლინგვისტიკა	ლიტერატურის თეორია		5	5					
3	მეორე აღმოსავლური ენა (არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული, კლასიკური არამეული)			5		5				
4	დოქტორანტის სემინარი			20		10	10			
5	სპეცურსი საკვლევი თემატიკის სპეციალობაში I, II *			10	5	5				
6	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები			5		5				
8	პედაგოგიური პრაქტიკა			5			5			
9	დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე სასწავლო კურსი ლინგვისტიკის / ლიტერატურათმცოდნეობის პროფილის სადოქტორო პროგრამიდან			არჩევითი	5			5		
<b>კვლევის კომპონენტი 120 კრედიტი</b>										
10	ბიბლიოგრაფიის შედგენა		სავალდებულო	5	5					
11	დისერტაციის პროექტის წარდგენა			5	5					
12	დოქტორანტის კოლოქვიუმი (I, II)			40				20	20	
14	დისერტაციის მომზადება და დაცვა			70			10	10	20	30

\* შენიშვნა: სადოქტორო პროგრამა “აღმოსავლური ფილოლოგია” მრავალფეროვანია და მოიცავს ფილოლოგიის მრავალ ასპექტს, ამდენად დოქტორანტის პროგრამა ინდივიდუალურია და გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომად შერჩეული და დამტკიცებული თემის შესაბამის სპეციალობა(ებ)-ში 10 კრედიტისა და ლინგვისტიკის ან ლიტერატურათმცოდნეობის პროფილის სადოქტორო პროგრამიდან 10 კრედიტის ათვისებას.

### **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა:**

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეების დერპარტამენტსა და დეპარტამენტის კაბინეტებში, აგრეთვე აწსუ-ს, ეროვნული ბიბლიოთეკების ბაზაზე, რომლებიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით

და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ყოველგვარი ტექნიკური აღჭურვილობით.

### **მისაღები დოქტორანტების რაოდენობა:**

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე არაბული ფილოლოგიის მიმართულებით 2, თურქული ფილოლოგიის მიმართულებით 2 და სპარსული ფილოლოგიის მიმართულებით 2 დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი.

### **პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი:**

პროფ. გ. ჩიქოვანი (ხელმძღვანელი)

ტელ.: +995 431 252961 (დეპარტამენტი), 599 55 32 23 (მობილური)

ელ.-ფოსტა: [gchikovani@yahoo.com](mailto:gchikovani@yahoo.com)

პროფ. ც. აბულაძე, პროფ. ნ. ბართაია, პროფ. ზ. კიკვიძე, პროფ. ი. კროტენკო, ასოც. პროფ. გ. შაყულაშვილი, ასოც. პროფ. ზ. ცხვედიანი, ასოც. პროფ. ნ. უგრეხელიძე, ფ./მ./დ. მ. ქუთელია, ფ./დ. ლ. ქველიძე, ფ./დ. თ. დემეტრაშვილი, ფ./დ. ნათია სვინტრაძე, ასოც. პროფ. ი. ჩაჩანიძე, ასოც. პროფ. ი. ბასილაძე, ფ. /დ. ასისტ. პროფ. პ. ჯაფარიძე, ფ. /დ. ასისტ. პროფ. გ. ქამუშაძე, ფ./დ. ასისტ. პროფ. ლ. ავალიანი

## შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

დოქტორანტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

### **დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დოსერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ.

სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით,

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

### **სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:**

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

### **სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს ზემოაღნიშნული სისტემით.**

ა) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით:

1 - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, 2 – „არადამაკმაყოფილებელი“, 3 - „დამაკმაყოფილებელი“, 4 – „საშუალო“, 5 - „კარგი“, 6 - „ძალიან კარგი“, 7 - „ფრიადი“.

ბ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული *E*;

- გ)  $E$  განისაზღვრება, როგორც  $E$  – თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ  $E$  არის  $n$ , 5 სახის, მაშინ  $E$  განისაზღვრება  $n + 1$ -ის ტოლად)
- დ) საბოლოო შეფასება არის  $E$  რიცხვის შესაბამისი შეფასება ა) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ  $2/3$  –ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე. ი. არ შეაფასებს „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“-ით ან „არადამაკმაყოფილებელი“-ით)
- ე) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  –ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E = 2$ .
- ვ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E = 1$ .